

სკოპინგის დასკვნა N43

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: აჭარის ფილიალის მაღალი ძაბვის (35კვტ და მეტი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვტ-ისა და მეტი ძაბვის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 06.10.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, გარემოს ეროვნულ სააგენტოში, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მაღალი ძაბვის (35 კვტ და მეტი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვტ-ისა და მეტი ძაბვის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკოპინგის ანგარიში.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აჭარის ფილიალის მაღალი ძაბვის (35 კვტ და მეტი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვტ-ისა და მეტი ძაბვის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია №43 (24.04.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე 2021 წლის 27 აპრილს აღნიშნულ საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-544).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს არსებული 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების „ჩაქვისა“ და „ანასეულის“ დაკავშირებას („შესვლა-გამოსვლას“) ქვესადგურ „ოზურგეთი-220“-თან, რისთვისაც გათვალისწინებულია 110 კვ ეგხ-ის „ჩაქვის“ #183-#184 და 110 კვ ეგხ „ანასეულის“ #102-#103 საყრდენებს შორის მალეების გაჭრა და დამატებითი საყრდენების მოწყობა.

საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ეგხ-ის დერეფნიდან დაშორებულია 900 მეტრით. წარმოდგენილია შიპ ფაილების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ეგხ-ის ჯამური სიგრძე შეადგენს დაახლოებით 280 მეტრს. საპროექტო ეგხ-დან შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი“ მდებარეობს 35 მეტრის დაშორებით.

პროექტის ფარგლებში ჯამურად მოეწყობა 6 ერთეული საანკერო-კუთხური 110 კვ ძაბვის საყრდენი, საიდანაც 3 საყრდენი იქნება ერთჯაჭვიანი „YC110-5“ ტიპის, 3 - ორჯაჭვიანი

„YC110-6“ ტიპის. 2 საყრდენის დაყენება გათვალისწინებულია 110 კვ ეგხ „ჩაქვის“ #183 და #184 არსებული საყრდენების ადგილზე, რომლებიც ექვემდებარება დემონტაჟს. დარჩენილი 4 საყრდენის განთავსების ადგილზე არსებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, შერჩეულია ახალი ადგილები: GPS კოორდინატებია: #1 საყრდენი: X-747719, Y-4641555; #2 საყრდენი: X-747737, Y-4641514; #3 საყრდენი: X-747752, Y-4641600; #4 საყრდენი: X-747867, Y-4641641; #5 საყრდენი: X-747722, Y-4641446; #6 საყრდენი: X-747879, Y-4641598; წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის დერეფანი არ კვეთს მდინარეებს, ხევებს, საცხოვრებელ სახლებს და კერძო საკუთრებებს.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის ალტერნატივა და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის ალტერნატივები. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის გათვალისწინებით. ეგხ-ის დერეფანი ორი ალტერნატიული მარშრუტის (ალტერნატივა 1, ალტერნატივა 2) შედარების საფუძველზე, უპირატესობა მიენიჭა მე-2 ალტერნატივას, კერძოდ: შერჩეულ მარშრუტი უზრუნველყოფილია მისასვლელი გზებით, არ კვეთს კერძო საკუთრებებს, უშუალოდ საყრდენების განთავსების ლოკაციები თავისუფალია ხე-მცენარეებისგან, ასევე ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება რამდენიმე დღე. მშენებლობის პროცესში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა იქნება დაახლოებით 20 მ³. მოხსნილი ნიადაგი გამოყენებული იქნება საყრდენების განთავსების ტერიტორიაზე. პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი გრუნტის რაოდენობა იქნება დაახლოებით 1 335 მ³. საიდანაც 1 267 მ³ გრუნტი გამოყენებული იქნება ქვაბულების შესავსებად, ხოლო დარჩენილი 68 მ³ მოცულობის გრუნტის გატანა გათვალისწინებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილ ქვ/ს „ხიდმაღალას“ ტერიტორიის მოსაზვინად.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება, ასევე ვიბრაციისა და ხმაურის გავრცელება, რაც დაკავშირებულია სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან და ტექნიკის მუშაობასთან. სამუშაოების სპეციფიკის, მასშტაბისა და ვადების გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ექსპლუატაციის ეტაპზე ელექტროგადამცემი ხაზებს ახასიათებს ხმის გენერირება, თუმცა საპროექტო ეგხ-ის

მასშტაბისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ გამოვლენა. ეგხ-ის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ანთროპოგენური ზემოქმედების გათვალისწინებით, ბუნებრივი მცენარეულობის დიდი ნაწილი დეგრადირებული და სახეცვლილია. ბალახეული საფარი სუსტად არის განვითარებული. საპროექტო დერეფანი არ კვეთს არც დაცულ ტერიტორიებს და არც ბიომრავალფეროვნებისთვის ხელსაყრელი პირობების მქონე ადგილებს.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდში. სამშენებლო პერიოდში წარმოიქმნება პოლიმერული ნარჩენები, გამოყენებული ელექტროდების ნარჩენები, ლითონების ნარჩენები, სხვადასხვა სახის სამშენებლო ნარჩენები, ასევე შესაძლებელია წარმოიქმნეს მცირე ოდენობით სახიფათო ნარჩენები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზმ-ის ანგარიშში ასახული იქნება მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი ნარჩენების სახეობები და მახასიათებლები, რაოდენობები და მართვის საკითხები.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური ძეგლების ნიშნები არ გამოვლენილა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა 2023 წლის 1 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სს „ენერგო-პროჯორჯიას“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა სოციალურ საკითხებს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით, სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოპინგის პროცედურის შედეგად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;

2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

4. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, საპროექტო ეგზ-ის სიგრძე, ეგზ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები, ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი, საყრდენების ტიპები და რაოდენობები, სადემონტაჟო და მოსაწყობი/გადასატანი ანძების დეტალური აღწერა, სადენების ტიპები და სხვ;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის,

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- არსებული („ჩაქვისა“ და „ანასეულის“ ელექტროგადამცემი ხაზები) და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილების აღწერა დახასიათება;
 - ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, საპროექტო ეგზ-ის დერეფნის Shp ფაილებისა (დაცვის ზონების მითითებით) და საყრდენების GPS კოორდინატების მითითებით, ასევე არსებული და საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზების დერეფნები უნდა აისახოს სქემატურ ნახაზებზე;
 - ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული, ეგზ-ის დერეფნიდან (როგორც სადენებიდან, ასევე დაცვის ზონიდან) დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებამდე და ზედაპირული წყლის ობიექტამდე, მდებარეობის მითითებით (რუკაზე ჩვენებით);
 - მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების გადაკვეთის შესახებ ინფორმაცია, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
 - ინფორმაცია ანძების გადაადგილება/მოწყობის და ეგზ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ;
 - პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, შემდგომი მართვის ღონისძიებების მითითებით;
 - ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლის მომარაგების შესახებ;
 - ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
 - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ;
 - პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
 - ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;

4.1. სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამუშაოების ჩატარების ხანგრძლივობის და შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკისა და სამშენებლო მოედნების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია მცენარეული და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ

(„ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);

- ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და გრუნტის შესახებ, მოცულობების, დასაწყობების ადგილებისა და შემდგომი მართვის პირობების მითითებით;
- სამშენებლო სამუშაოებში გამოსაყენებელი მასალების მოპოვების შესახებ ინფორმაცია;

4.2. გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობები.

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით. ამასთანავე, ახალი ანძების განთავსების სამშენებლო მოედნებზე უნდა ჩატარდეს დეტალური საინჟინრო - გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევები.

4.3. ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზშ-ს ეტაპზე დაგეგმილია ფრინველთა სახეობების კვლევა. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე, მათ შორის ფრინველებზე, (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელ ნუსხით“ დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად. ასევე, კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტზე, მათ შორის ცხოველებზე, ასევე ფრინველების სიკვდილიანობაზე (მაგალითად როგორცაა ელექტროსადენებთან შეჯახებით სიკვდილიანობა) დაკვირვების და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული, მათ შორის საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;

- გზმ-ს ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით. (ე.წ ტყეკაფის უწყისი).

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- პროექტის ფარგლებში ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ამასთან, მითითებული უნდა იყოს შესაძლო ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კუთხით (ხმაურის გავრცელების სიხშირე და დონე), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ნარჩენების მართვის საკითხებისა და ნარჩენების მართვის გეგმის მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მოცემული უნდა იყოს ასევე სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ, არქეოლოგიურ ძეგლებზე;

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, მიმდებარე არსებული ობიექტების გათვალისწინებით, შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშში მითითებული არ არის საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების ნაწილი გატანა მოხდება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილ ქვ/ს „ხიდმაღალას“ ტერიტორიის მოსაზვინად. წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ტერიტორიის GPS კოორდინატები;
- ვინაიდან საპროექტო ეგზ-ის სიახლოვეს მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის“ საავტომობილო გზა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიცია და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - „საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილხთან

ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება -მაღალი ძაბვის (35კვტ და მეტი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვტ-ისა და მეტი ძაბვის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.